

## ენათმეცნიერება Linguistic

### ეკონომიურობის პრინციპი ენაში (ინგლისური ენის მაგალითზე)

რუსუდან გვილაგა, ირმა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [rusudang@gmail.com](mailto:rusudang@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.03>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომი „ეკონომიურობის პრინციპი ენაში“ ეძღვნება მეტად აქტუალურ საკითხს ენათმეცნიერებაში. ისეთი ბგერათცვლილებები, როგორცაა ასიმილაცია, ბგერის შესუსტება, ბგერის რედუქცია, ბგერათშერწყმა და ა.შ. ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი ტრადიციულ ენათმეცნიერებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის მთავარი მიზეზი, რაც ამ ბგერათცვლილებებს იწვევს, ყურადღების მიღმა არის დარჩენილი. ჩვენ მიერ ამ საკითხის კვლევა განხორციელდა გაბმული მეტყველების ჭრილში. სწრაფ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს საფუძვლად უდევს ენის მიდრეკილება „ეკონომიურობისაკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ყველა ბგერათცვლილება, ეს იქნება სიტყვის შიგნით თუ სიტყვათგასაყარზე, მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების გამარტივებას, წარმოთქმის გაიოლებას. ნაშრომში განხილულია ინგლისური ენის ზეპირმეტყველებაში მიმდინარე ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი. ინგლისურისათვის დამახასიათებელი ნეიტრალური ხმოვანი -schwa განაპირობებს სიტყვათა კუმშვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ინგლისური ენის რიტმულობას. სიახლედ მიგვაჩნია  $t+s = \text{ც}$  და  $d+z = \text{ძ}$  ბგერათშერწყმისას ინგლისურ ენაში არარსებული ც და ძ ბგერების გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** „ეკონომიურობის პრინციპი ენაში“, ინგლისური ენა, ფონეტიკური პროცესები.

ეკონომიურობის პრინციპი ენაში გულისხმობს ენის სწრაფვას მარტივად და დროის დაზოგვით გადაეცეს ადრესატს ინფორმაცია. ეკონომიურობის პრინციპის მოქმედება ენაში მჭიდრო კავშირშია გაბმულ მეტყველებასთან. გაბმული მეტყველება არსებითი და თანაც მეცნიერულად საინტერესო ფენომენია. ტერმინი **გაბმული მეტყველება (Connected speech)** გულისხმობს ლინგვისტურ ერთეულთა უწყვეტ თანმიმდევრობას.

ზეპირი მეტყველებისას ჩვენ გვეძლევა ბგერათა ნაკადი, სადაც ბგერებსა და სიტყვებს შორის საზღვრები მკვეთრად გამოხატული არ არის. ავიღოთ ასეთი ფრაზები: /

sejit / Say it - თქვი ეგ

/ hauwiz / how is - როგორ არის

/ əkʌpəti:/ a cup of tea - ფინჯანი ჩაი

/ dʒənəu / Do you know? - იცით?

გაბმულ მეტყველებაში ეს ფრაზები წარმოითქმის როგორც ერთი სიტყვა. გაბმული მეტყველების ასპექტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ რატომ არის ასეთი დიდი განსხვავება ზეპირ და წერილობით ინგლისურ ენას შორის.

გაბმული მეტყველება არ არის უბრალოდ ერთიმეორის მიმდევრობით დალაგებული სიტყვათა რიგი, რადგანაც მასში შემავალი თითოეული სეგმენტი განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოში ექცევა და ეს სეგმენტები ურთიერთ-ზემოქმედებას განიცდის. ამ დროს სიტყვები ერთმანეთს ეჯახება და სიტყვათ-გასაყარზე (ერთი სიტყვის ბოლოს და მომდევნო სიტყვის დასაწყისში) თავს იჩენს ცვლილებები, რაც გარკვეულ ფონეტიკურ მოვლენებს უკავშირდება. ცვლილებები შეიძლება მოხდეს აგრეთვე სიტყვის შიგნითაც, განსაკუთრებით უმახვილო პოზიციაში. მინიმალური არტიკულაციის გამო გაბმულ მეტყველებაში შეიძლება გვექნდეს ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დასუსტება ან ამოვარდნა, ბგერის ჩამატება, ბგერათშერწყმა და ა.შ. მათი ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ მთქმელსა და მსმენელს შორის სწორი კომუნიკაცია შედგეს.

სწრაფ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს საფუძვლად უდევს ენის მიდრეკილება „ეკონომიურობისაკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ყველა ბგერათცვლილება, ეს იქნება სიტყვის შიგნით თუ სიტყვათგასაყარზე, მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების გამარტივებას, წარმო-თქმის გაიოლებას. სწრაფ გაბმულ მეტყველებაში დამხმარე სიტყვები, როგორცაა: არტიკლი, დამხმარე, მკავშირებელი და მოდალური ზმნები, კავშირი, ნაწილაკი, ზოგიერთი ნაცვალსახელი, წინდებული, უმეტესწილად მახვილს არ ატარებს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

სიტყვა	ძლიერი ფორმა	სუსტი ფორმა	მაგალითი
has	hæz	həz əz z	wɪntəz kɑm
and	ænd	ənd ən n	bednbreɪkfəst
can	kæn	kən kn	ɪtknflaɪ
some	səm	səm sm	grv məsmbred
would	wud	wəd əd d	hɪdlɑvɪt
him	hɪm	həm əm m	sendəm

რა ხდება სუსტ ფორმებში გაბმული მეტყველებისას? უმახვილო ხმოვანი ბგერები ნეიტრალური ხმოვნით /ə/ წარმოგვიდგება ან საერთოდ იკარგება. *ʃlʌvzvedʒtəblzənfru:t* She loves vegetables and fruit. (მას უყვარს ბოსტნეული და ხილი). მუქი შრიფტით წარმოდგენილია ბგერები, რომელთა დაკარგვა ხდება გაბმულ მეტყველებაში. მსგავსი მოვლენა- შეკუმშვა გვაქვს შემდეგ სიტყვებშიც:

int(e)rest- /ɪntrest/, libr(a)ry - /laɪbri/, diff(e)rent -/dɪfrənt ,t(o)night- /tnait/

თითქმის ყველა ინგლისური მრავალმარცვლოვანი სიტყვა შეიცავს ნეიტრალურ ხმოვანს /ə/ schwa. მაგალითად, სიტყვაში *dangerous* /ˈdeɪndʒərəs/- პირველი მარცვალი მახვილიანია და ხმოვანი a იკითხება, როგორც /eɪ/, ხოლო მეორე და მესამე მარცვალში ხმოვანი ბგერები უმახვილო პოზიციაშია და ამიტომ ისინი გადაიქცევა ნეიტრალურ ə ხმოვნად. ე.ი. ხდება **e** და **ou** ხმოვნების ნეიტრალიზაცია და ისინი წარმოითქმის, როგორც /ə./, **schwa**. როგორც წესი, ინგლისურ ენაში უმახვილო პოზიციაში მყოფი ყველა ხმოვანი ტენდენციას იჩენს გადაიქცეს ნეიტრალურ schwa /ə/ ხმოვნად. მაგ.: salad, pilot, bonus, basin, to'night, mother, cushion, personal, comfortable. ნეიტრალური ხმოვნის არსებობა ინგლისურ ენას ანიჭებს რიტმულობას.

ეკონომიურობის პრინციპი განაპირობებს ერთი და იმავე პოზიციური ჯგუფის (ჰომორგანული წყვილის) ხმოვნით გათიშვას. ( sz > siz, šz > šiz, čz > č iz,  $\check{z}$  z >  $\check{z}$  iz, td > tid, dd > did ). მაგ. buses, bushes, benches, bridges, wanted, acted, decided.

როცა სიტყვათგასაყარზე **ორი ერთნაირი თანხმოვანი დგას**, გაბმულ მეტყველებაში ერთი მათგანი იკარგება. მაგალითად: most tender - /məustendə/, black coat - /blækəut/, simple law - /sɪmploː/, big girl /bigə:l/, nice song/naiɪŋ/

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისურ ზეპირმეტყველებაში თანხმოვანთა შორის /t/ and /d/ ყველაზე მეტად განიცდის რედუქციას, როცა ისინი სიტყვაში თანხმოვანთა კომპლექსში აღმოჩნდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ენის სწრაფვას ეკონომიურობისაკენ. მაგალითად: Chris(t)mas, san(d)wich gran(d)mother, han(d)ful

ასევეა სიტყვათგასაყარზეც: you an(d) me, nex(t) man, mos(t) people, tell (h)im, si(t) down

ხშირია ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის დაბოლოებაში თანხმოვან /t/-ს ამოვარდნა. მაგალითად: smallest cat- /smɑːləs kæt/, longest river - /ˈlɒŋəz rɪvə/ ,

biggest village - /ˈbɪgəz vɪlɪdʒ/, most beautiful - /məʊs ˈbjʊfʊl/.

როცა ორი ხმოვანი ბგერა თავს მოიყრის სიტყვათგასაყარზე, ძნელდება მისი წარმოთქმა. ტენდენცია ჩნდება ამ ორ სიტყვას შორის ჩაისვას მაკავშირებელი ბგერა /r/ , /j/ ან /w/. მაგალითად:

/r/ - lɑːrən ɔːdə - law /r/ and order.

/j/ - ðeɪjəgrɪː \_ They /j/ agree

/w/ - bluːwæpl \_ blue /w/ apple

Go /w/ out!

სიტყვის ბოლოს ნეიტრალური ხმოვნის ჩასმა ხდება ბოლო ორ თანხმოვანს შორის იმ შემთხვევაში, თუ ბოლო მარცვალში დარღვეულია კლებადი სონორობის პრინციპი.

ნეიტრალური ხმოვნის ჩასმა ამარტივებს სიტყვის ბოლო მარცვლის არტიკულაციას.

gɪ→gəɪ - [ɪːgəɪ] - eagle

bɪ→bəɪ - [dʌbəɪ] double

pɪ→pəɪ - [kʌpəɪ] -couple

zɪ→zəɪ - [pʌzəɪ] puzzle

სიტყვათგასაყარზე ხშირია სიტყვის ბოლო თანხმოვნის სრული ასიმილაცია, რათა გაადვილდეს მომდევნო ბგერის წარმოთქმა. შემდგომ კი ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი იკარგება. მაგალითად:

ə gʊbbɔɪ → ə ˈgʊbɔɪ \_ a good boy - კარგი ბიჭი

ə gʊggəːl → ə ˈgʊgəːl- a good girl- კარგი გოგო

gʊbbɑɪ → gʊbɑɪ \_ Good bye - ნახვამდის

θæŋkɡɒd → ˈθæŋɡɒd – Thank God! მაძლობა ღმერთს !

ə pɑːtmənt → ə ˈpɑːpmənt - apartment - ბინა

- სწრაფ გაბმულ მეტყველებაში ზოგჯერ ხდება **ბგერათა შერწყმა**, რის შედეგადაც ვლებულობთ ახალ ბგერას, ხშირ შემთხვევაში აფრიკატს.

**A.** t+s= ʃ. (ქართული - ც) : The cat's name. It's late. He gets up. He's an accounts manager.

**B.** d+z= ɹ. (ქართული- ძ) : Draw the blinds. The roads are icy. The beds are here.

**C.** t+j→ /tʃ/ (ქართული - ჩ) : Congratulations, Portugal, Don't you know/dəʊntʃə/.

**D.** s + j→ /ʃ/ (ქართული - შ) : This year /ðɪʃə/, I miss you /mɪʃu/, bless you - /bleʃu/.

**E.** d + j → /dʒ/ (ქართული - ჯ) : Could you help me?-/ kʊdʒu/, Do you know? -/dʒu/

F. z+j→/ʒ / (ქართული - ჟ): Azure sky - /æʒə/, Asia / eɪʒə/, As you know /æʒu /.

ჩვენ მიერ ნაშრომში წარმოდგენილი ფონეტიკური პროცესები, რომლებიც გაბმული მეტყველების თანმდევა, აშკარად ემსახურება წარმოთქმის გაიოლებას, გამარტივებას. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი სამეტყველო ორგანო - ენა, ყველაზე აქტიური და მოქნილი ნაწილი სამეტყველო ორგანოებს შორის, ისწრაფვის ეკონომიურობისაკენ-დაზოგოს ენერგია და დრო და გააიოლოს არტიკულაცია.

#### References:

1. Hill A. (1958): Introduction to Linguistic Structures. New York. Harcourt, Brace and Co.
2. Kruisinga E. (1925): Handbook of Present Day English. pt. 1. Kemink en Zoon Utrecht.
3. Ladefoged, P. (2000). *A course in phonetics (4th ed.)*. New York: Heinle and Heinle.
4. Nordhyem B. (1960): The Phonemes of English. Copenhagen: Gad.
5. O'Connor J.O. Trim J.L. (1953): Vowel, consonant and syllable - a phonological Definition. In: Word. vol.9.#2.

ინტერნეტ რესურსები: <http://www.teachingenglish.org.uk/think/articles/pronunciation/recent>  
<http://eslnews.org.nz/>

Rusudan Gvilava, Irma Rusadze

Akaki Tsereteli State University

e-mail: [rusudang@gmail.com](mailto:rusudang@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.03>

SJIF 2024: 8.268

#### Principle of economy in language

##### Abstract

The work "Principle of economy in language" is dedicated to a very relevant issue in linguistics. Sound changes such as assimilation, sound reduction, sound fusion, etc are deeply and thoroughly studied in traditional linguistics. However, it should be noted, that the main reason that causes these sound changes is left behind. We have researched this issue in the context of connected speech. The phonetic processes in fast connected speech are based on the language's tendency to "economy", which means that all sound changes in connected speech, be it within a word or at the juncture, are aimed at simplifying oral speech, making pronunciation easier. The paper discusses some of the phonetic processes taking place in oral English. The neutral vowel – schwa, characteristic of English, causes contraction of words, which in turn determines the rhythmicity of the English language. We consider merging t+s =ʃ ( ჭ ) and d+z= ʒ ( ჯ ) into the nonexisting sounds in English as a novelty .

**Key words:** "Principle of economy in language", English language, The phonetic processes

რეცენზენტი: პროფესორი ნინო კირვალიძე